



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080165972194419

№ 3136

23 / ივლისი / 2019 წ.

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის
გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 5 ივლისს წარმოდგენილ იქნა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიის“ (ს/ნ: 202161098) 2019 წლის 7 ივლისის № 07/587 მომართვა (რეგისტრაციის № 7348), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ“ 2019 წლის 17 და 19 ივლისს წარმოადგინა 2019 წლის 17 იანვრის № 07/611 და 2019 წლის 19 ივლისის № 07/617 დაბუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 7820 და № 7905), რომლებითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 10 ივლისის № 2695 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაბუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიის“ (ს/ნ: 202161098) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილების გათვალისწინებით იწურება 2019 წლის 12 აგვისტოს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 202161098) 2019 წლის 13 აგვისტოდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდანაშულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე